ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 3355

„ 5 „ დეკემბერი 2012 წ.

ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოების (ქ. თბილისის რაიონების გამგეობების) მიერ „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის დებულების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მერის 2012 წლის 27 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოების მიერ (ქ. თბილისის რაიონების გამგეობები) „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია“ დანართის შესაბამისად.

2. ქ. თბილისის მერიის რაიონების გამგეობებმა „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყონ პროცედურების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., 6).

გიორგი უგულავა

2/3756-23.
16.01.2013

ქ. თბილისი 0159, უ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200

დანართი

ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოების (ქ. თბილისის რაიონების გამგეობების) მიერ „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ №1-1 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 ნოემბრის „ქ. თბილისის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. ინსტრუქციის შემუშავების მიზანია ქ. თბილისის რაიონების გამგეობებში ჩამოაყალიბოს „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამის განხორციელების მართვის ერთიანი პრაქტიკა და უზრუნველყოს პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, ეკონომიურობა და ადმინისტრირების პროცესის გამარტივება და გაუმჯობესება.

3. ქ. თბილისის რაიონების გამგეობები ვალდებული არიან „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამის განხორციელება და მართვა უზრუნველყონ ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 2. ბენეფიციართა სიების შედგენა

1. უფასო სასადილოს მომსახურებით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ გამგებლის განკარგულებით დამტკიცებულ ბენეფიციართა ძირითად და დამატებით სიებში არსებულ პირებს. გამგებელი უფლებამოსილია მიმდინარე - 2012 წლის ბენეფიციართა სია უცვლელი სახით დაამტკიცოს ბენეფიციართა 2013 წლის ძირითად სიად.

2. ყოველი უფასო სასადილოსთვის მტკიცდება ცალკე ძირითადი და დამატებითი სია. ბენეფიციართა სიაში შეყვანას ექვემდებარება თბილისში მცხოვრები განმცხადებელი მისი რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად მდებარე სასადილოს მიხედვით.

3. პირების ძირითად და დამატებით სიაში ახალი განცხადებლების შეყვანა უსდა განხორციელდეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად

დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაზე დაყრდნობით. სიაში შეყვანას ექვემდებარებიან მხოლოდ სოციალურად დაუცველი პირები.

4. ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის სოციალურად დაუცველია პირი, თუ მისთვის სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.

5. ძირითადი სიის ბენეფიციარები უფასო საკვებს ღებულობენ შეუხღუდავად, ყოველდღიურად, განკუთვნილი ულუფის ფარგლებში. იმ შემთხვევისთვის, როდესაც კონკრეტულ დღეს ძირითადი სიის ცალკეული ბენეფიციარები რაიმე მიზეზით არ იღებენ კუთვნილ ულუფას, იმ დღეს არგამოცხადებულ ბენეფიციართა ნაცვლად საკვების მიღების უფლება აქვთ დამატებითი სიის ბენეფიციარებს. დამატებითი სიის ბენეფიციართა ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი სიის 5%-ს.

6. განმცხადებელთა სიაში შეყვანის საკითხის განხილვის რიგითობა განისაზღვრება მათი განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით. უპირატესობა ენიჭება იმ განმცხადებელს, რომლის განცხადებაც რეგისტრირებულია გამგეობაში უფრო ადრე. თავდაპირველად ხდება პირის სათადარიგო სიაში შეყვანა, ხოლო ძირითადი სიის შევსება ხორციელდება სათადარიგო სიიდან.

7. იმ შემთხვევაში, თუ ძირითად ან დამატებით სიაში გამოთავისუფლდა ბენეფიციარის ადგილი და გამოთავისუფლებული ადგილების რაოდენობა ნაკლებია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ რაოდენობაზე და განმცხადებელი არ არის თანახმა ნაკლებ რაოდენობაზე, გამგებელი ვალდებულია მოცემულ ეტაპზე არ დააკმაყოფილოს განცხადება და განიხილოს რიგით შემდეგი განცხადება. ამ შემთხვევაში დაუკმაყოფილებელი განცხადება განიხილება შემდგომი ადგილ(ებ)ის გამოთავისუფლებისას.

8. გამგეობის თანამშრომლები ახორციელებენ განმცხადებლის დოკუმენტაციის შესწავლას, რაზეც დგება მოხსენებითი ბარათი, მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამგებელი გამოსცემს განკარგულებას განმცხადებლის (მისი ოჯახის ან ოჯახის რამდენიმე წევრის) ბენეფიციართა სიაში შეყვანის შესახებ ან სიაში შეყვანაზე უარის თქმის შესახებ.

9. განკარგულებაში უნდა აღინიშნოს ბენეფიციარის ან/და მისი ოჯახის წევრების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, კვების ულუფების რაოდენობა. განკარგულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი გამოცემის კალენდარული წლის ბოლომდე. განკარგულებაში ასევე განისაზღვრება ბენეფიციარის უფლება-მოვალეობები.

10. თუ ბენეფიციარები არიან ერთი ოჯახის წევრები, შესაძლებელია ოჯახის სხვა წევრების ულუფების წასაღებად – სასადილოში გამოცხადდეს ერთ-ერთი ბენეფიციარი.

11. რაიონის გამგეობა პროგრამაში მონაწილე პირის (ოჯახის) ბენეფიციარის სტატუსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ვალდებულია წელიწადში არანაკლებ ერთხელ მოსთხოვოს მას განახლებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა. სოციალურად დაუცველის მოწმობის წარდგენის ვალდებულების

წარმოშობის ერთწლიანი ვადა აითვლება ყოველი ბენეფიციარისათვის ინდივიდუალურად, უფასო სასადილოს მომსახურების უფლების მინიჭების დღიდან.

12. გამგეობა ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა საშუალებითა და საცხოვრებელ ადგილზე გადამოწმებით შეისწავლოს ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ცვლილების არსებობის შემთხვევაში (ოჯახის წევრის დაბადება, გარდაცვალება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი შეცვლა (დასაქმება, ლეგალური შემოსავალი და ა.შ.) ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვ.) შესაბამის ბენეფიციართა საკითხი განიხილოს ახალი გარემოებების გათვალისწინებით.

13. თუ ძირითადი სიის ბენეფიციარ(ებ)ის მხრიდან ადგილი ექნება სასადილოში 10 ან მეტი დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, გამგებელი ვალდებულია ბენეფიციარი ამოიღოს ძირითადი სიიდან და გაუუქმოს უფასო სასადილოთი კვების უფლება.

14. გამგეობის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით, „მარტოხელა უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების" პროგრამის განხორციელებისათვის დასაფინანსებელი თანხები გათვალისწინებულ უნდა იქნას გამგეობის მიერ შედგენილ რაიონის ბიუჯეტის პროექტში.

15. ამ მუხლით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისის სახით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბენეფიციარ(ებ)ის ძირითად ან დამატებით სიაში შეყვანა ხდება გამგეობის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება

1. გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს ტენდერის ჩატარება და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება ახალი კალენდარული წლის დადგომამდე.

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაანგარიშებული უნდა იქნეს ბიუჯეტით პროგრამისთვის გათვალისწინებული ასიგნებების, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ შემუშავებული მენიუს მიხედვით, რომელიც აგებულია ერთ ადამიანზე დღიურად მისაღები ენერგეტიკული ნორმის გათვალისწინებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოყოფილია ფართი უფასო სასადილოსთვის, გამგეობამ უნდა გაითვალისწინოს მოცემული პირობა სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის პროცესში.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ბენეფიციართა რაოდენობისთვის საკვების მომზადების და სასადილოში მიწოდების მომსახურების შესყიდვა.

2. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საკვების დღიური ულუფების რაოდენობა არ უნდა იყოს ბენეფიციართა ძირითად სიაზე ნაკლები.

3. მოსამზადებელი საკვების ულუფების რაოდენობა არ არის დამოკიდებული კონკრეტულ დღეს საკვების მისაღებად გამოცხადებულ პირთა ოდენობაზე, მოსამზადებელი საკვების ულუფების ოდენობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ბენეფიციართა ოდენობითა და მენიუთი განსაზღვრული მოცულობით.

4. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ სასადილოს ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის, აუცილებელი ინვენტარის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას.

5. თუ გამგეობას უფასო სასადილოს მოწყობისათვის გააჩნია შესაბამისი ფართი, აღნიშნულის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს სატენდერო დოკუმენტაციაში.

6. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ უნდა იქნეს სასადილო ფართის მოცულობა, რომლის განსაზღვრისას შემსყიდველმა მხედველობაში უნდა მიიღოს სასადილოს ფუნქციონირების წინა წლების პრაქტიკა (ბენეფიციართა დიდ უმრავლესობას უფასო საკვები თან მიაქვს და არ სადილობს ადგილზე). შესაბამისად, სასადილოსთვის განკუთვნილ ფართში შესაძლებელი უნდა იყოს ბენეფიციართა არანაკლებ 3%-ის მიერ ერთდროულად საკვების ადგილზე მიღება.

7. სასადილოსთვის განკუთვნილი ფართი ვიზუალურად უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს და მდებარეობდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური გაჩერებიდან არაუმეტეს 700 მეტრის რადიუსში.

8. სატენდერო მოთხოვნები უნდა ითვალისწინებდეს პრეტენდენტის მიერ სასადილოს ფართის და შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის კანონით გათვალისწინებული წესით გაფორმებული გრძელვადიანი კანონიერი ფლობის (მინიმუმ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადით) დამადასტურებელი დოკუმენტაციის (სასადილოს ფართის საკუთრების არსებობის შემთხვევაში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სხვა ქონებასთან მიმართებით - საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან აუდიტის დასკვნა, ხოლო დროებითი სარგებლობის შემთხვევაში, კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება) წარმოდგენის ვალდებულებას.

მუხლი 5. ტექნიკური და სკვალიფიკაციო მოთხოვნები

გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მიმწოდებლის მიმართ შეიძლება წაყენებული იქნეს მხოლოდ შემდეგი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კვების პროდუქტების წარმოების, მომზადების ან/და კვების ობიექტის მართვის სფეროში მომსახურების გაწევის არანაკლებ 50 000 ლარის, მაგრამ არაუმეტეს - შესყიდვის საწყისი ღირებულების, გამოცდილება;

ბ) უნდა ფლობდეს მომსახურების გაწევისთვის საჭირო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას საკუთრების ან სარგებლობის უფლებით;

მუხლი 6. ტენდერის გამოცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია

1. გამგეობა უზრუნველყოფს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო კომისიის მიერ გამოქვეყნების მიზნით.

2. სატენდერო განცხადება უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით დადგენილ ყველა მონაცემს, მათ შორის უნდა განსაზღვრავდეს წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის ოდენობასა და მისი მოქმედების მინიმალურ ვადას.

3. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იქნეს შესყიდვის ობიექტისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები და მიმწოდებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ ინსტრუქციის მე-4, მე-5 და მე-11 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს მოთხოვნას კანონით განსაზღვრულ შესაბამის ეტაპზე შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის კანონით გათვალისწინებული წესით გაფორმებული დოკუმენტაციის სახით წარმოდგენის შესახებ.

5. ანგარიშსწორების პირობები უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ ანგარიშსწორების ვადას შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6. თუ შესყიდვის ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, სატენდერო დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებამდე, არანაკლებ ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით და ადგენდეს დანართი 1.1-ით განსაზღვრული ფორმით ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ფორმას.

7. საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, გაცემული საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებისაგან ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციისაგან, მისი მოქმედების ვადა სულ ცოტა ორი თვით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

8. სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შესაძლებლობას შემსყიდველის მხრიდან და კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულებას მიმწოდებლის მიერ.

9. მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების განხორციელებისათვის შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ცვლილების აუცილებლობის/საჭიროების დასაბუთების წარმოდგენას ცვლილების ინიციატორი მხარის მიერ.

10. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი უნდა იქნეს სატენდერო წინადადების წარდგენა ხელშეკრულების საერთო ღირებულებაზე, ერთი ბენეფიციარის დღიურ კვებაზე დაანგარიშებით, ჩაშლილი ხარჯთაღრიცხვის გარეშე.

მუხლი 7. ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციაში

1. გამგეობის შესაბამისი სატენდერო კომისია უფლებამოსილია, შეცვალოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

2. ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, სატენდერო კომისიამ უნდა დაასაბუთოს სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა/საჭიროება და ასახოს შესაბამის ოქმში.

მუხლი 8. პრეტენდენტის შერჩევა-შეფასება

1. გამგეობის სატენდერო კომისია იხილავს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოვლენილი ყველაზე დაბალი ფასის შემთავაზებელი პრეტენდენტის მიერ წარდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ამოწმებს მათ შესაბამისობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა შემოწმდეს პუნქტობრივად, თითოეული საკითხი ცალ-ცალკე და შემოწმების შედეგები სრულად აისახოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვისას, სატენდერო კომისიის აპარატმა უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სისწორისა და ნამდვილობის შემოწმება, თუ ეს შესაძლებელია და შემოწმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია წერილობით წარუდგინოს სატენდერო კომისიას.

4. შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ან შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარუდგენლობისას, თუკი ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, აღნიშნული, კონკრეტული მიზეზის მითითებით, დასაბუთებული უნდა იყოს სატენდერო კომისიის შესაბამის ოქმში.

5. დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სატენდერო კომისიამ უნდა განიხილოს, ხომ არ წარმოადგენს დადგენილი შეუსაბამობა ისეთ უზუსტობას, რომლის დროსაც კანონმდებლობა უშვებს პრეტენდენტისათვის დაზუსტებული ინფორმაციის წარმოსადგენად ვადის მიცემას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტისათვის დაზუსტებული ინფორმაციის წარსადგენად არაუმეტეს 2 სამუშაო დღის მიცემის შესახებ. სატენდერო კომისიის შესაბამისი ოქმი და მოთხოვნა პრეტენდენტისადმი უნდა აიტვირთოს სისტემაში.

6. ყველაზე დაბალი ფასის შემთავაზებელი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში გამგეობის სატენდერო კომისია აცხადებს მას გამარჯვებულად.

7. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისია პრეტენდენტს კანონით გათვალისწინებული წესით განუსაზღვრავს 3 დღიან ვადას ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (ასეთი მოთხოვნების არსებობისას) წარმოსადგენად და ხელშეკრულების დასადებად.

8. გამგეობის შესაბამის სამსახურს ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარედგინოს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში ელექტრონული ფორმით წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ ელექტრონული და მატერიალური ფორმით წარმოდგენილ ვერსიებს შორის ადგილი ექნება შეუსაბამობას, სატენდერო კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ, ასევე უნდა შემოწმდეს წარმოდგენილი საბანკო გარანტიის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან და ფორმასთან.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შემოწმებას და შესაბამისობის დადგენას სატენდერო კომისიის აპარატი ადასტურებს წერილობით.

10. გარანტიის წარდგენის ვადის შემსყიდველის მიერ კანონის შესაბამისად გაგრძელების შემთხვევაში, ვადის გაგრძელების საჭიროება დასაბუთებულ უნდა იქნეს სატენდერო კომისიის შესაბამის ოქმში, სადაც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რამაც განაპირობა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

11. პრეტენდენტის მიერ გარანტიის განსაზღვრულ ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში სატენდერო კომისია ახდენს მის დისკვალიფიკაციას.

მუხლი 9. ხელშეკრულების გაფორმება

1. ხელშეკრულების საბოლოო რედაქცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ხელშეკრულების ფორმას, განსხვავება დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველისათვის (გამგეობისათვის) გაუმჯობესებული პირობების ჩამოყალიბების შემთხვევაში.

2. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მისი გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. გარანტიის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებასთან ერთად სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გარანტიაც.

3. ხელშეკრულება უნდა შედგეს ამ ინსტრუქციის დანართი 1.2-ით განსაზღვრული ფორმით.

მუხლი 10. ხელშეკრულების ცვლილება და შეწყვეტა

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად გამგეობისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თუ ცვლილება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით და შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, ცვლილების ინიციატორი მხარის მიერ დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა, ამასთან, ცვლილების აუცილებლობის გამომწვევი მიზეზის არსიდან გამომდინარე, თუკი შესაძლებელია, ცვლილების ინიციატორის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნული მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაბამისი ექსპერტის დასკვნა და ა.შ.).

3. თუკი ცვლილების ინიციატორი მიმწოდებელია, ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს (თუ შესაძლებელია) რამდენად შეესაბამება რეალობას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

4. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმების დოკუმენტში აღინიშნება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველი და დასაბუთება. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება იტვირთება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა განიხილება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და გამგეობის შესყიდვების სამსახური ვალდებულია, საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში, გარანტისაგან მოითხოვოს საბანკო გარანტიის სრულად ანაზღაურება, რის შემდეგადაც მხარეებს შორის წყდება ხელშეკრულება, ხოლო თუკი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად არ გამოიყენება საბანკო გარანტია, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 2% ოდენობით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველი გამგეობის ინიციატივით ან/და მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხორციელდება ქ. თბილისის მთავრობის თანხმობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებას არ საჭიროებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართში მოცემული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულზე ნაკლები ანაზღაურების მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში, დაუშვებელია ხარჯთაღრიცხვის მთლიანი ღირებულების შემცირება მისი შემადგენელი სხვა პუნქტების ფასების გაზრდის ან/და ახალი პუნქტ(ებ)ის ჩამატების ხარჯზე.

მუხლი 11. უფასო სასადილოს მომსახურება

1. უფასო სასადილო საკვებს ბენეფიციარებზე უნდა გასცემდეს მინიმუმ 4 საათის განმავლობაში, 16:00 საათამდე. მომსახურების ვადაში არ შედის საკვების მომზადებისთვის საჭირო დრო.

2. მიმწოდებელმა საკვები ულუფები უნდა გასცეს გამგეობის მიერ ოფიციალურად გადაცემული ბენეფიციართა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით. გაცემისას უზრუნველყოს ბენეფიციართა აღრიცხვა დანომრილ, აკინძულ, ზონარგაყრილ და გამგეობის ბეჭდითა და გამგებლის ხელმოწერით დამოწმებულ ჟურნალში. ჟურნალში ულუფის მიღების შემდეგ ხელმოწერა შეიძლება განახორციელონ თავად ბენეფიციარებმა ან, შეუძლებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარის გრაფაში სპეციალური აღნიშვნა უნდა გააკეთოს დასწრების შემთხვევაში - შემსყიდველის წარმომადგენელმა, ხოლო სხვა შემთხვევაში - მიმწოდებლის წარმომადგენელმა.

3. შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის დანერგვის და გამგეობის მიერ სასადილოსათვის სათანადო კომპიუტერული და ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასადილოში ბენეფიციართა გამოცხადებისა და მათ მიერ მომსახურების მიღების აღრიცხვის წარმოება ელექტრონულად, აღნიშნული პროგრამით.

4. საკვების პროდუქტების მიწოდების, შენახვისას, საკვების დამზადებისას და გაცემისას დაცული უნდა იყოს სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, მალფუჭებადი პროდუქტების მიწოდება უნდა მოხდეს ყოველდღიურად, სასადილომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ახალი და ხარისხიანი პროდუქცია, ბენეფიციარებზე უნდა გაიცეს მიწოდების დღეს დამზადებული სადილი.

5. მენიუსა და მომსახურების გრაფიკში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, გარდა გამონაკლისისა, რაც წინასწარ წერილობით უნდა შეთანხმდეს გამგეობასთან და გადაწყვეტილებულ უნდა იქნეს ანგარიშსწორებისას.

6. სასადილოში ბენეფიციართათვის თვალსაჩინო ადგილას მიმწოდებლის მიერ გამოსავსებული უნდა იყოს ყოველდღიური მენიუ და სასადილოს სამუშაო საათები. საკვების გაცემა უნდა მოხდეს მენიუთი განსაზღვრული ულუფის წონის/მოცულობის შესაბამისად სასწორისა და ზუსტი მოცულობის განმსაზღვრელი ჭიქების მეშვეობით.

7. სასადილო უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, აღჭურვილი უნდა იყოს სველი წერტილით, რომლითაც ბენეფიციარებს შეეძლებათ სარგებლობა.

8. მიმწოდებელმა ყოველი თვის ბოლოსთვის გამგეობას უნდა წარუდგინოს წერილი, რომლითაც ბენეფიციართა უმრავლესობა ხელმოწერით ადასტურებს, რომ შესაბამის პერიოდში მიწოდებული ულუფების შემადგენელი კერძები, რაოდენობა და მოცულობა შეესაბამება მენიუთი გათვალისწინებულს. აღნიშნული დოკუმენტი შედგენილი უნდა იქნეს გამგეობის ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. რაიონის გამგებელი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განკარგულებით განსაზღვრავს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელ პირს და ინსპექტირების ჯგუფს. შესაბამისი პირები ვალდებულნი არიან ინტენსიურად განახორციელონ ინსპექტირება წინასწარ განსაზღვრულ საკითხებზე დაკვირვების გზით, რომელიც მოიცავს სასადილოს მომსახურების ყველა მხარეს, და შემოწმების შედეგები ასახონ შესაბამის აქტში თარიღის მითითებითა და ხელმოწერით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი/პირები პერიოდულად ახორციელებენ მიმწოდებლის მიერ მომზადებული მენიუს და ბენეფიციარებისათვის განკუთვნილი ულუფების სატენდერო და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. შემოწმების შედეგები უნდა აისახოს ამ ინსტრუქციის დანართი 1.3-ით გათვალისწინებულ სპეციალურ ოქმში, რაზეც ხელს მოაწერენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირები და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირი. აღნიშნული დოკუმენტი წარედგინება გამგებლის მიერ განსაზღვრულ პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელ პირს. საჭიროების შემთხვევაში, ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ან ბენეფიციართა მიერ შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, ინსპექტირებას ექვემდებარება ასევე მიმწოდებლის მიერ მომზადებული საკვების ხარისხი, რასთან დაკავშირებითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ექსპერტიზა სპეციალური დაწესებულების მიერ.

3. ინსპექტირების შედეგად ნებისმიერი ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, კონტროლზე პასუხისმგებელმა პირის მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე გამგეობამ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მიმწოდებელს შესაბამისი წუნდების შესახებ. ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირებმა კონტროლი უნდა გაუწიონ შესაბამისი ნაკლოვანების აღმოფხვრის მდომარეობას.

4. ინსპექტირების ჯგუფმა პერიოდულად უნდა განახორციელოს ბენეფიციართა გამოკითხვა პროგრამის ფარგლებში მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით. უნდა მოხდეს გამოკითხვის შედეგების დოკუმენტირება წერილობით. გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით, შესაბამისი რაიონის გამგეობამ უნდა დასახოს ბენეფიციართა უფასო სასადილოთი მომსახურების გაუმჯობესების გზები არსებული საშუალებების ფარგლებში.

5. გამოკითხვის შედეგად, ბენეფიციართა უკმაყოფილების დაფიქსირების შემთხვევაში, გამგეობამ უნდა გამოიკვლიოს აღნიშნული საკითხი და, ბენეფიციართა პრეტენზიის

საფუძვლიანობის შემთხვევაში, არსებული საშუალებებისა და უფლებამოსილების ფარგლებში გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

1. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის (ვალდებულების შეუსრულებლობა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება და სხვ.) პასუხისმგებლობის ზომებს.

2. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

3. იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების დარღვევა ეხება ბენეფიციარისათვის მომსახურების გაწევის დღის გამოტოვებას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა თითოეული გამოტოვებული დღისთვის.

4. ხელშკრულების რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი ამზადებს მოხსენებითი ბარათს დარღვევის შინაარსის, შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობის შესახებ და წარუდგენს გამგებელს, რომელიც მიმწოდებელს ატყობინებს ხელშეკრულების შესაბამისად პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. ამასთან, თუ გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია და თუ დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი გამოსწორება, გამგეობამ მიმწოდებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დარღვევის გამოსწორებისათვის.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდის ვადების დაცვა და შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში მოხსენებითი ბარათი წარუდგინოს გამგებელს ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდევინების შესახებ. გამგებელმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის რეალიზაციის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება.

6. თუ მიმწოდებლის მიერ მასზე დაკისრებული პირგასამტეხლოს დაფარვამდე უნდა მოხდეს გამგეობის მხრიდან ანგარიშსწორება, საფინანსო საქალაქო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი თანხის სრულად გადახდა და, ამასთან, მიმწოდებლის კუთვნილი თანხიდან პირგასამტეხლოს ოდენობის თანხის დაკავება და შესაბამის სახაზინო კოდზე მიმართვა. აღნიშნული მიმწოდებელს ჩაეთვლება პირგასამტეხლოს გადახდად. თუ ასანაზღაურებელი თანხა სრულად არ ფარავს პირგასამტეხლოს თანხას, უნდა განხორციელდეს დარჩენილი თანხის მოთხოვნა მიმწოდებლისგან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. თუ მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ეკისრება მასთან საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ, პირგასამტეხლოს თანხა გადახდილ უნდა იქნეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

8. საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში ანდა დარღვევის გამგეობის მიერ დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში გამგეობა გარანტს წარუდგენს მოთხოვნას საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულება და ანგარიშსწორება

1. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან დაუშვებელია.

2. ხელშეკრულების თითოეული ეტაპის შესრულების შემდეგ, ყოველი თვის დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით ფორმდება ამ ინსტრუქციის დანართი 1.4-ის ფორმით შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტი.

3. გამგეობა უარს აცხადებს შესაბამისი თვის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე, თუ მიმწოდებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული, ბენეფიციართა უმრავლესობის მიერ ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტი.

4. თითოეულ ეტაპზე შესრულების მიღებასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტში უნდა განისაზღვროს შესაბამისი საანგარიშსწორებო პერიოდისთვის სასადილოში დამზადებული/შემოტანილი მენიუთი განსაზღვრული საკვების რაოდენობა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ბენეფიციარის კვების ღირებულება, საანგარიშსწორებო პერიოდში სასადილოს მომსახურების დღეების რაოდენობა და ანგარიშსწორებისთვის მოთხოვნილი თანხა (მომზადებული/შემოტანილი საკვების დღიური ულუფების რაოდენობის, ერთი ბენეფიციარის დღიური კვების ღირებულებისა და საანგარიშსწორებო პერიოდში მომსახურების მიწოდების დღეების რაოდენობის ნამრავლი).

5. შესრულების მიღებამდე მიღებაზე უფლებამოსილი პირების მიერ უნდა გადამოწმდეს მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხის შესაბამისობა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით, ასევე ინსპექტირებისას გამოვლენილი გარემოებებთან. დაუშვებელია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, სხვა სახის დოკუმენტაციის მიმწოდებლისაგან გამოთხოვა, თუკი ინსპექტირების აქტებით რაიმე დარღვევა არ გამოვლენილა.

6. მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარზე დღიური ულუფის გათვალისწინებული საწილის მიუწოდებლობა ან ნაკლები რაოდენობით/მოცულობით მიწოდება განიხილება სრული ულუფის მიუწოდებლობად, რაც შესაბამისად უნდა აისახოს მიღება-ჩაბარების აქტში.

7. ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტი საგადახდო მოთხოვნასთან ერთად ეგზავნება საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც ახდენს ანგარიშსწორებას.

8. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა მოხდეს შესაბამისი ეტაპის დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი

მოთხოვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

№ ----------

-----" ---------- 20-- წ.

გარანტის სრული დასახელება
და იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი:_____

პრინციპალის სრული დასახელება
და იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი:_____

ბენეფიციარი: _____

გარანტიის ობიექტი: _____(ტენდერის დასახელება) ტენდერის შედეგად გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

გარანტორის ვალდებულება: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარანტორი იღებს გამოუთხოვად და უპირობო ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა, მისი პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ.

გარანტიის თანხა: ----------

გარანტიის მოქმედების ტერიტორია: ----------

გარანტიის მოქმედების პერიოდი: ----------

ხელმოწერა

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #

ქ. თბილისი

--. --. 201 - წ.

ერთი მხრივ, ქ. თბილისის ----- რაიონის გამგეობა, წარმოდგენილი ---------- სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და, მეორე მხრივ, ----„----------", წარმოდგენილი ---------- --------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი:

---------- მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ *იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული ობიექტი შემდეგ თანხაზე: ------ (--* ---------) *ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება")*

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია ----------

2.2 კლასიფიკატორის კოდი: ----------

2.3 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ, ტექნიკური დოკუმენტაციის ---- პუნქტში მოცემული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.3 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

4. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა

4.1. მომსახურების გაწევისას შესაბამისი სტანდარტების, ხარისხის, ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

4.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვაზე, მათ შორის ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღებაზე, მომსახურების გაწევისას გამოყენებული ან გამოსაყენებელი მასალის, აღჭურვილობის, მექანიზმების უსაფრთხოებაზე, მათი დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მომსახურების გაწევა

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სასადილოს მიერ საკვების ბენეფიციარებზე გაცემა დღეში მინიმუმ 4 საათის განმავლობაში, 16:00 საათამდე. მომსახურების გაწევის ვადაში არ შედის საკვების მომზადებისთვის საჭირო დრო.

5.2 მიმწოდებელმა საკვები ულუფები უნდა გასცეს გამგეობის მიერ ოფიციალურად გადაცემული ბენეფიციართა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით და გაცემისას უზრუნველყოს ბენეფიციართა აღრიცხვა დანომრილ, აკინძულ, ზონარგაყრილ და გამგეობის ბეჭდითა და გამგებლის ხელმოწერით დამოწმებულ ჟურნალში. ჟურნალში ულუფის მიღების შემდეგ ხელმოწერა შეიძლება განახორციელონ თავად ბენეფიციარებმა ან, შეუძლებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარის გრაფაში სპეციალური აღნიშვნა უნდა გააკეთოს შემსყიდველის წარმომადგენელმა, დასწრების შემთხვევაში, ან მიმწოდებლის წარმომადგენელმა.

5.3 შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის დანერგვის და გამგეობის მიერ სასადილოსათვის სათანადო კომპიუტერული და ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასადილოში

ბენეფიციართა გამოცხადებისა და მათ მიერ მომსახურების მიღების აღრიცხვის წარმოება ელექტრონულად, აღნიშნული პროგრამით.

5.4 კვების პროდუქტების მიწოდების, შენახვისას, საკვების დამზადებისას და გაცემისას მიმწოდებელმა უნდა დაიცვას სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, მალფუჭებადი პროდუქტების მიწოდება უნდა მოხდეს ყოველდღიურად, სასადილომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ახალი და ხარისხიანი პროდუქცია. ბენეფიციარებზე უნდა გაიცეს მიწოდების დღეს დამზადებული სადილი.

5.5 მენიუსა და მომსახურების გრაფიკში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, გარდა გამონაკლისისა, რაც წინასწარ წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ანგარიშსწორებისას.

5.6 სასადილოში ბენეფიციართათვის თვალსაჩინო ადგილას მიმწოდებლის მიერ განთავსებული უნდა იყოს ყოველდღიური მენიუ და სასადილოს სამუშაო საათები. საკვების გაცემა უნდა მოხდეს მენიუთი განსაზღვრული ულუფის წონის/მოცულობის შესაბამისად სასწორისა და ზუსტი მოცულობის განმსაზღვრელი ჭურჭლის მეშვეობით.

5.7 სასადილო უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, აღჭურვილი უნდა იყოს სველი წერტილით, რომლითაც ბენეფიციარებს შეეძლებათ სარგებლობა.

5.8 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ნებისმიერი ქონების, მათ შორის ტექნიკური და კომპიუტერული აღჭურვილობის, გადაცემა არ იწვევს მიმწოდებლის საკუთრების უფლების წარმოშობას აღნიშნულ ქონებაზე. მიმწოდებელი პასუხს აგებს ქონების დაცვზე და მისი გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუბრუნოს შემსყიდველს მის მიერ გადაცემული ქონება იმავე მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს განახორციელონ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და განახორციელონ მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება, რომელიც შეეხება სასადილოს ფუნქციონირებასთან და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ინსპექტირების თაობაზე დგება შემოწმების ოქმი, სადაც აისახება ინსპექტირების შედეგები, რომელსაც ხელს აწერენ ინსპექტირების ჯგუფის წევრები და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 შემსყიდველი შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი წუნდების შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობებს მიმწოდებელს შესაბამისი მიზეზის მითითებით. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ------- თანამშრომლები.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ფორმით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 6.4 პუნქტით განსაზღვრული პირები), მომსახურების გაწევის ყოველი თვის დასრულები შემდეგ.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორება

8.1 შემსყიდველის მიერ წინასწარი ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

8.2. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

8.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

8.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიწოდების ეტაპის დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი მოთხოვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.

8.5 თითოეულ ეტაპზე შესრულების მიღებასთან დაკავშირებით მიღება–ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელმა დოკუმენტურად დადასტურებული ფორმით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასადილოში დამზადებული/შემოტანილი მენიუთი განსაზღვრული ულუფების დღიური რაოდენობა;

ბ) საანგარიშსწორებო პერიოდში სასადილოს მომსახურების მიწოდების დღეების რაოდენობა;

გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ბენეფიციარის დღიური კვების ღირებულება;

დ) ანგარიშსწორებისთვის მოთხოვნილი თანხა (ამ პუნქტის ა, ბ და გ ქვეპუნქტების ნამრავლი);

ე) შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის თანდასწრებით, ბენეფიციართა უმრავლესობის ხელმოწერილი წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ შესაბამის პერიოდში მიწოდებული ულუფების შემადგენელი კერძები, რაოდენობა და მოცულობა შეესაბამება მენიუთი გათვალისწინებულს.

8.6 ინსპექტირების აქტებით რაიმე დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციაც.

8.7 მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარზე დღიური ულუფით გათვალისწინებული ნაწილის მიუწოდებლობა ან ნაკლები რაოდენობით/მოცულობით მიწოდება განიხილება სრული ულუფის მიუწოდებლობად, რაც შესაბამისად უნდა აისახოს მიღება-ჩაბარების აქტში.

9. ფასები

9.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

9.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ---- (----------) ლარს.

9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებას არ საჭიროებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართში მოცემული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულზე ნაკლები ანაზღაურების მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში, დაუშვებელია ხარჯთაღრიცხვის მთლიანი ღირებულების შემცირება მისი შემადგენელი სხვა პუნქტების ფასების გაზრდის ან/და ახალი პუნქტ(ებ)ის ჩამატების ხარჯზე.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციირების შემთხვევაში, იგი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დეტალური დასაბუთება წარილობით, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შესახებ.

10.7 მხარეებმა ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს. აღნიშნული არ [illegible] ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებას.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გაოეშე, აოც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

11.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველს, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 თუ ხელშეკრულების ღირებულება აღმატება 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით, წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.4 ცალკეული მასალის ან/და მოწყობილობა-დანადგარების შეძენის ან/და მონტაჟის მიზნით დადებული ხელშეკრულებები ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე არ ჩაითვლება სუბკონტრაქტად.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

13.3 ბენეფიციართათვის მომსახურების გაწევის დღის გამოტოვების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა, თითოეული დღისთვის.

13.4 თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ მომდევნო ანგარიშსწორებამდე არ უზრუნველყოფს დაკისრებული პირგასამტეხლოს დაფარვას, შემსყიდველი მიმწოდებელთან მომდევნო ანგარიშსწორებისას უზრუნველყოფს შესაბამისი თანხის სრულად გადახდას და ამასთან მიმწოდებლის კუთვნილი თანხიდან პირგასამტეხლოს ოდენობის თანხის დაკავებას და შესაბამის სახაზინო კოდზე მიმართვას, რაც მიმწოდებელს ჩაეთვლება პირგასამტეხლოს გადახდად. თუ ასანაზღაურებელი თანხა სრულად არ ფარავს პირგასამტეხლოს თანხას, უნდა განხორციელდეს დარჩენილი თანხის მოთხოვნა მიმწოდებლისგან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.5 თუ მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ეკისრება მასთან საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ, პირგასამტეხლოს თანხა გადახდილ უნდა იქნეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

13.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (გამოყენების შემთხვევაში)

14.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად შესრულება და სხვა) და შემსყიდველის მიერ დადგენილ გადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ასევე განმეორებით ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი გამოიყენებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.

14.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 2 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საბოლოო ვადას.

14.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი

შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

14.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 მიმწოდებლის მიერ ვადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა, განიხილება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და შემსყიდველი, საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილია გამოიყენოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია სრულად. ხოლო თუკი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად არ გამოიყენება საბანკო გარანტია, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 2% ოდენობით. აღნიშნულის შემდეგ ხელშეკრულების მოქმედება წყდება.

15.5 მე-15 მუხლის 15.1 და 15.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოყენებას ან დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

18. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

18.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი გზავნილის მხარისათვის ჩაბარება

უნდა მოხდეს ფოსტის საშუალებით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეპეშის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ----------

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22. დანართები

---

23. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

---------- გამგეობა

მის:

ს.ს.

კოდი:

ა/ა#

ს/კოდი:

გამგებელი_____

„_____“

მიმწოდებელი

---„_____“

მის:

ელ.ფოსტა:----------

საკონტაქტო ტელ: ----------

სს „----------“

კოდი: ----------

ა/ა# ----------

ს/კოდი: ----------

-- „----------“

დანართი 1. 3

შემოწმების ოქმი №.....

(თარიღი)

(ოქმის შედგენის ადგილი)

(შემოწმების საფუძველი)

(შესამოწმებელი ობიექტის დასახელება და მისამართი)

(მომსახურების მიმწოდებელის დასახელება, უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი/პირები: (სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემოწმების შედეგები:

სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

საკვების ხარისხი

გაცემული საკვების რაოდენობა

პერსონალის მომსახურების ხარისხი

ბენეფიციართა აღრიცხვიანობა

სხვა

მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის განმარტება:

დანართი 1.4

მიღება-ჩაბარების აქტი №.....

_____ _____

(შედგენის ადგილი) (თარიღი)

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ,

_____

(შემსყიდველის დასახელება, უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი)

და, მეორე მხრივ,

_____

(მიმწოდებლის დასახელება, უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი)

ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ

_____

(ობიექტის დასახელება და მისამართი)

მიმწოდებლის _____ მიერ

(მიმწოდებლის დასახელება)

მიმდინარე წლის _____ -დან _____ -მდე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების _____ პირობების შესაბამისად განხორციელდა შემდეგი მიწოდება

(ხელშეკრულების თარიღი, N)

ხელშეკრულებით განსაზღვრული ულუფების დღიური რაოდენობა	საანგარიშსწორებო პერიოდის დღეების რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის დღიური ულუფის ღირებულება	ასანაზღაურებელი თანხა

რაზედაც ვაწერთ ხელს:

შემსყიდველი: მიმწოდებელი: